



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს
მთლიანი შიდა პროდუქტი

2017

(წინასწარი მონაცემები)



21.03.2018

www.geostat.ge

მთლიანი შიდა პროდუქტი, 2017 წელი

წინასწარი მონაცემებით 2017 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა მიმდინარე ფასებში 38 042,2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 11,8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2017 წელს წინა წელთან შედარებით 5,0 პროცენტით, ხოლო დეფლატორის პროცენტული ცვლილება 6,5 პროცენტით განისაზღვრა.


ცხრილი №1

	2016	2017*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	34 028,5	38 042,2
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	14 377,9	15 164,5
მშპ ერთ სულზე (ლარი)**	9 146,4	10 231,4
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)**	3 864,6	4 078,5
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	2,8	5,0
მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%)	4,2	6,5

* წინასწარი მონაცემები;

**2016 და 2017 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით (პროცენტი)



* წინასწარი მონაცემები

ცხრილი №2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)


ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2016	2017*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	2 629,5	2 671,6
სამთომოპოვებითი მრეწველობა	333,3	367,0
დამამუშავებელი მრეწველობა	2 832,2	3 338,6
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	932,5	968,0
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	701,2	679,8
მშენებლობა	2 499,9	3 039,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	4 979,7	5 735,4
სასტუმროები და რესტორნები	822,1	965,8
ტრანსპორტი	2 191,0	2 545,9
კავშირგაბმულობა	699,8	762,3
საფინანსო საქმიანობა	1 164,2	1 340,8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1 969,6	2 239,1
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	926,9	974,2
სახელმწიფო მმართველობა	2 660,9	2 768,6
განათლება	1 428,0	1 544,8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1 798,8	1 944,4
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1 244,5	1 265,3
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	31,4	32,1
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-521,6	-596,1
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი	29 323,9	32 587,1
(+) გადასახადები პროდუქციაზე	4 873,2	5 645,1
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	168,6	190,0
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი	34 028,5	38 042,2

* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17,6 პროცენტი) და მრეწველობა (16,4 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,2 პროცენტი), მშენებლობა (9,3 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (8,5 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (8,2 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6,0 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2017* წელი



* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

ცხრილი №3

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი)

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2016	2017*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	0,3	-2,7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	9,5	7,1
დამამუშავებელი მრეწველობა	4,3	5,0
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	4,9	1,8
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	4,0	-2,7
მშენებლობა	10,0	11,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	2,4	6,6
სასტუმროები და რესტორნები	12,9	11,2
ტრანსპორტი	-3,0	7,2
კავშირგაბმულობა	-3,1	4,2
საფინანსო საქმიანობა	9,7	9,2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	5,9	6,3
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	2,2	3,2
სახელმწიფო მმართველობა	1,7	3,4
განათლება	3,1	3,6
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1,4	2,8
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,0	3,1
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	-1,0	-1,8
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	9,1	6,7
მშპ საბაზისო ფასებში	3,1	4,9
გადასახადები პროდუქციაზე	1,3	5,6
სუბსიდიები პროდუქციაზე	3,4	4,8
მშპ საბაზრო ფასებში	2,8	5,0
მშპ დეფლატორის პროცენტული ცვლილება	4,2	6,5


* წინასწარი მონაცემები

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა (11,2 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (11,2 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (9,2 პროცენტი), ტრანსპორტი (7,2 პროცენტი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (7,1 პროცენტი), ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (6,6 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,3 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (5,0 პროცენტი).

კლება აღინიშნა სოფლის მეურნეობისა (-2,7 პროცენტი) და შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამამუშავების (-2,7 პროცენტი) სექტორებში.

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე:

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე



* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: 2015-2017 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები. წინა წლების მაჩვენებლებში გამოყენებულია აღწერამდელი დემოგრაფიული მონაცემები. წინა წლების მოსახლეობის რიცხოვნობა, აღწერის მონაცემების გათვალისწინებით დაზუსტდება, რაც გამოიწვევს ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლების დინამიკური მწკრივების დაზუსტებას 2003-2014 წლების მიხედვით.

საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემები თავდაპირველად გაანგარიშდა 2016 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. 2017 წლის ნოემბერში, 2016 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2016 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვალა 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემებიც. გარდა ამისა, 2018 წლის ნოემბერში 2017 წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება 2017 წლის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები.

საკონტაქტო პირები: ლევან ქარსაულიძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)

E-mail: lkarsaulidze@geostat.ge; info@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)

E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge